მერცხალი

შმიდტის მოთხრობიდამ

გადმოკეთებული
მ. ჯან – საგან.

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა
1881

მერცხალი

კარი I

სარკინეთის მთის ძირში, მტკვრის პირას, ერთ სოფელში არის ბალკონიანი სახლი; ამ სახლის ჭერში, სვეტის თავზე მიკრულია ძველი ბუდე მერცხლისა. დიდი ხნის წინ ეს ბუდე ააშენა ორმა მერცხალმა მაგარ-ნის-კარტიანების გვარიდამ.

დადგა მშვენიერი მაისის დილა. მზემ საკმაოდ გაათბო. დედა-მიწა, თოვლი სრულიად დადნა და მწვანეთ – ხავერდივით შეიმოსა მიწა მცენარეე-

ბით. ამ სოფელში მოფრინდა გუნდი მერცხლისა. ყველანი თავ-თავის ბუდისკენ მიეჩქარებოდნენ. ზოგნი ჩხუბობდნენ: არა, ეს პაპის ბუდე მე მეკუთვნის, არა მეო; ზოგნი სამწუხაროთ ჭყრიალებდნენ, რადგან მათ ბუდეები დანგრეული ნახეს. იყვნენ ისეთი ბედნიერნიც, რომელთაც ყველაფერი კარგად დახვდათ. ესენი დიდის მხიარულებით შეუდგნენ ძველი ბუდეების გადაკეთებას, გაახლებას.

ხსენებულ სახლის ბალკონთან მოფრინდა ორი მერცხალი: ერთი მეორეზე უფროსი, სვეტის თავზე მყოფი ბუდე ეკუთვნოდა უფროს მერცხალსა, მაგრამ ამან ბეჯითად გაშინჯა ბუდე და უთხრა თავის თანამხლებელს:

– ეს ბუდე საშიშოა: მე ვერ გავბედავ მასში ცხოვრებას.

– როგორ, დეიდავ, თქვენ იწუნებთ ამისთანა მშვენიერ, მკვიდრ ბუდეს?! მიუგო პირველს მეორემ. მაშ მე დავსახლდები ამაში.

– შენც არ გირჩევ ჩემო დის-წულო, ხომ ხედავბუდის თავზე ჭერში ნახვრეტია. როცა წვიმა მოვა, წყალი ჩამოვა, ბუდეს დაასველებს და დაშლის.

– აი ტყუილები, დიდ-გულათ მიუგო ახალგაზდა მერცხალმა. შარშანაც, როცა ჩვენ აქ დედასთან და ძმებთან ვცხოვრებდით, ეს ხვრელი მაშინაც იყო; აქედგან ჩვენ უყურებდით მზეს და წმინდა ჰაერით ვსუნთქავდით.

6

– როგორც გნებავს, მიუგო დეიდამ, მე კი არ დავიზარებ და ახალ ბუდეს ავიშენებ.

– მერცხლები გამოეთხოვნენ ერთმანერთს. დეიდა გაფრინდა, ახალ ადგილის ამოსარჩევად ბუდისათვის; დისწულმა კი დაიწყო. მამა-პაპეული ბუდის წმენდა. ამისთვის ის ნისკარტს და პატარა კლანჭებს არ იზოგავდა, ფრინავდა ტალახის ნამჯის მოსატანად, მოუსვენარობდა... საღამომდის საქმე გაათავა. მერე შემოჯდა შორი ახლოს და სიამოვნებდა თავის ბუდის სილამაზით.

– რა მშვენიერი ბუდეა! ჰფიქრობდა ისა, ფართო ვრცელი, აშენებულია ასე სწორეთ, მაგრად, არც ერთგან ჭუჭრუტანა არა აქვს. ტყუ-

7

ილათ კი არ ამბობენ, რომ ეს ბუდე დიდი ხანია რაც იმყოფება ამ სვეტის თავზე და არაფერი განახლება არ მონდომებია. სიხარულით მერცხალი. გაფრინდა თავის ქმრის მისაგებებლად და უანბო მას თავისი ბედნიერება.

– შენმა დეიდამ რისთვის დაიწუნა და არ იკადრა ის ბუდე? ჰკითხა გაკვირვებით ქმარმა.

– ისე, იმას ეგონა, რომ ბუდე მკვიდრი არ არისო, უგემურად მიუგო ცოლმა.

კარი II.

სამიოდე კვირის განმავლობაში

ჩვენმა ნაცნობმა მერცხალმა ოთხი
მშვენიერი კვერცხი დასდო და ზედ
დააჯდა; მისი ქმარი კი დაფრინავდა
და იჭერდა ბუზებს და პეპელებს –
ქმარს ეგონა, რომ მისი ცოლი მში-
ერია და ბარტყებს ვერ გამოჩიკავსო.
ამ სახლში სცხოვრობდნენ: მამა,
დედა და ორი შვილი: კატო შვიდის
წლისა იყო და ვანო თერთმეტისა.
მერცხლები შიშით უყურებდნენ
ამ ბაშვებს თავის ფანჯარიდგან.
– ეჰ, კარგი არ არის, რომ ჩვენ
ასრე ახლოს ვართ ადამიანებთან, ამ-
ბობდა მამა მერცხალი – და ჩვენი
ბალკონი ისეთი დაბალია, რომ ბუ-
დეს ადვილად შემოსწვდებიან.
– რისთვის უნდა გვეშინოდეს
ადამიანებისა? რამდენიც უნდა გვი-
ყურონ, ამით ჩვენ არა დაგვაკლდე-

ბა-რა. და მან გადმოჰყო თავისი შა-
ვი თავი ბუდიდგან, გადმოჰხედა მო-
თამაშე ყმაწვილებს და ხმა-მაღლა
შემოჰჭიკჭიკა: «გამარჯობა თქვენ»!
– შეხე, ვანო, მერცხლის ბუდე
ჭერში! მხიარულად დაუყვირა დამ
ძმას; მერე როგორ დაბლა არის და!
მოვიტანოთ სკამი და ჩავიხედოთ ბუ-
დეში.
– არა კატო, არა, ჩვენ მაგათ-
შევაშინებთ: ეგენი ეხლა კვერცხებზე
სხედან.
– კვერცხებზე?! მაშ მალე გა-
მოჩეკენ ბარტყებს. ეგენი?! რა კარ-
გია! და კატომ ხტუნაობა დაიწყო.
მამა მერცხალი ისე შეშინდა, რომ
სულ დაიმალა ბუდეში.
– ნუ გეშინიან, გეუბნები შენ

გულადათ უთხრა მას დედა-მერც-
ხალმა, რომელსაც უძახდნენ „მარდ-
ფეხიანს;“ შენ კინაღამ არ დასჭყლი-
ტე კვერცხები და არ ჩამაგდე ძირს!
რის გეშინიან? ყმაწვილები ისეთი
კარგები, გულკეთილები, მხიარულნი

არიან, რომ ჩვენ ისინი ხელს არ
გვახლებენ.

– ნუ მიჯავრდები მარდ-ფეხი-
ნო, მე გული მეხუთება, ვშიშობ,
როცა მოვკრავ თვალს უცხო ვინმეს.
მე თვითონაც არ მინდა მეშინოდეს,
მაგრამ რა უყო, უნებურად ფრთები
კრთოლას მიწყობენ, ფეხები ჩამეკე-
ცება ხოლმე, თვალები დამიბნელ-
დება....

მარდ-ფეხიანი მიბრუნდა ყმაწვი-
ლებისკენ, ცქერა დაუწყო მათ

11

ყოველთვის რცხვენოდა, რომ ქმა-
რი ასეთი მშიშარა ჰყვანდა, მით
უმეტეს, რომ ისინი ეკუთვნოდნენ
მაგარ-ნისკარტიანების გვარს, გან-
თქმულს გამბედაობით და გულადო-
ბით.

კარი III.

აი ბოლოს ბარტყებიც გამოიჩიკნენ.
მაგარ ფეხიანმა დილითვე გაიგო,
რომ ერთი კვეცხი გასკდა, დაუგდო
ყური – გაიგო რომ პატარა ნისკარ-
ტი შიგნიდნიდგან ნელ-ნელა სცემს
ნაჭუჭს. იმის გულმა დაიწყო ძგერა.
ამ დროს მამა-მერცხალი მოფრინდა
ბუდესთან და ნისკარტით მოიტანა
გრძელი და მსუქანი მატლი.

12

მოიცა, მოიცა, შეაჩერა დედა-მერც-
ახალი ეხლა არ მესაჭმლება, ჩვენი
ბარტყები საცაა გამოიჩიკებიან. მამა-
მერცხალმა საჩქაროთ გადაყლაპა მატ-
ლი და ფრთხილად შეფრინდა ბუდეში.
დედა-მერცხალმა გადაქექა ნაჭუ-
ჭები და იქიდგან გამოჩნდა პატარა
გინგლიანი თავი. მერე მთელი ბარტ-
ყიც გამოჩეკა. დედამ თავის ფრთა გა-
დააფარა შვილს.

მეორე კვერცხიდგანაც მოისმოდა
სუსტი კაკა-კუკი. ამასაც უშველა
დედამ – ესეც მალე გამოძვრა სატუ-

საღოდამ. მესამე ბარტყიც გამოი-
ჩეკა. მხოლოდ მეოთხე კვერცხი ეგ-
დო. უხმოდ, უსიცოცხლოდ.
– ნუ თუ მე ეს კვერცხი საკმა-
ოდ ვერ გავათბე და გალაყდა! – ასე

სწუხდა დედა-მერცხალი და საშინ-
ლად უძგერდა მას გული.
– სჩანს, დასძინა მამა-მერცხალ-
მა, უნდა გადავაგდოთ ეგ ბუდიდგან.
– არა,მოვიცადოთ კიდე რამდენიმე ხანს
გაათბევი შენ,მინემ მემოვულიბარტყ-
ებს. მამა-მერცხალი დაემორჩილა. დე-
და-მერცხალმა ნისკარტით გაასუფთა-
ვა ყველა ბარტყები რიგ-რიგათ, მერე
ყველას ზედ დააჯდა და ის კვერც-
ხიც ქვეშ მოიგდო. მამა-მერცხალი
გაფრინდა, რომ ბუზები და ბუზან-
კალები მოეტანა თავის ბარტყები-
სათვის. დედა კი მუდმის აჯდა კვერცხ-
ზე ის ელოდა, როდის შემოესმის მის-
განაც ხმა. ბევრი ლოდინის შემდეგ
შემოესმა სუსტი კაკუნი.
გულმა ცემა დაუწყო. აი ესეც;

ნაჭუჭიდგან გამოძრომა ამასაც უშ-
ველა.
უი! რა სუსტი ხარ, გენაცვალოს
შენ დედა! სთქვა და ნისკარტით გა-
სუფთავება დაუწყო ახლად დაბადე-
ბულს. მადლობა შენ ღმერთო, რომ
ეს მაინც იყო ქალი დამებადა.
ამასობაში დაბრუნდა მამა-მერც-
ხალიც. დედა-მერცხალმა მოტანი-
ლი საჭმელი დაღეჭა, დაასველა
ნერწყვით და თავის ნისკარტით აჭა-
მა ყველა ბარტყებს. ესენი ფართოთ
შლიდნენ თავის ყვითელ პირებს და
მადიანათ ჰყლაპავდნენ საჭმელს. ყვე-
ლაზე მეტს სჭამდა პირმშო. შვილი;
ეს წინისკენ იწეოდა, ალაჯებდა თავის
ძმებს, გრძლად იწვდიდა კისერს და
სცდილობდა სხვის წილიც თვითონ

შეეჭამა. დედა კი სცდილობდა მო-
ეშორა თავისი ხარბი შვილი და ყვე-
ლასთვის თანასწორად ეჭმია. მხო-
ლოდ უმცროსი სუსტი ქალი უგე-
მურად იქცეოდა და ჭამა არ
უნდოდა. დედა კი ძალათ უჭედავდა
მას პირში საჭმელს. მაგრამ ორიო-
დეჯერ რომ გადაყლაპა, დაიღალა
და თვალები დახუჭა.

მთელი ეს დღე შრომაში გაატა-
რეს; ბუდიდგან გადმოყარეს ნაჭუჭე-
ბი, შვილებს ბუდე მოუწყეს, რამ-
დენიმე ჯერ აჭამეს, დაუყვავეს და
გაათბეს. მეორე დღეს უფრო გაუ-
ადვილდათ მოვლა და შრომა.

– რა დავარქვათ ჩვენ ბარტყებს,
ჰკითხა ცოლს ქმარმა.

– მე უკვე გადაწყვეტილი მაქვს

პირველს „გულადი“ ის ძალიან
მარდია. მეორეს „ლამაზა“, შეხედე
იმას რა მშვენიერი ფრთები აქვს და
ლამაზი თვალები. მესამეს „მხიარუ-
ლა“, ეს ყველაზედ მეტად ჭიკჭიკებს
და ფართხალებს. ჩემს მცირე, სუსტ
ქალს კი – „მცონარა“

კ ა რ ი IV.

გავიდა. ორი კვირა. ბარტყებს გა-
დაუვიდათ გინგლი. მერე გაფრთიან-
დნენ. ისინი წრიპინებდნენ და დე-
დას ატყობინებდნენ თავის სურვილს.
ერთხელ დედა-მერცხალი შუაღა-
მისას გააღვიძა საშინელ ბრაგა-
ბრუგმა, რომელიც მოისმოდა ბალ-
კონის ზემოდგან, იმან აიხედა ჭუ-

ჭუტანადგან და თავს ზარი დაეცა
შიშისაგან: ზედ ხვრელზედ ანათებ-
დნენ თვალები მეზობლის ჭრელი
კატისა. თუმცა გულადი იყო დედა-
მერცხალი, მაგრამ მაინც ძალიან
დააფთხო ამ კატის თვალების ბღვრი-
ალმა და მის კბილების კრაჭუნმა, დე-

და მერცხალს კანკალი დააწყებინა და
საცოდავათ ამოაკვნესა. მამა-მერც-
ხალმაც გაიღვიძა და კატა რომ და-
ინახა, გაფრენა უნდოდა, მაგრამ დე-
და მერცხალმა არ გაუშვა.

– შვილები! სად მიდიხარ! ჩვენ
უნდა დავიცვათ ესინი. მე არასოდეს
არ გავფრინდები; დეე ამ უბედურე-
ბამ მეც წამიღოს ჩემ შვილებთან...

კატა დიდხანს იდგა ხვრელთან,
ბოლოს ნელ-ნელა ჩააწოდა თავისი
გესლიანი კლანჭი.

18

დედა მერცხალი ფრთები გაშ-
ლილი გადაეფარა თავის ნამძინარევ
ბარტყებს, მამალი მერცხალი სულ
ზევიდგან მოექცა ბუდეს, გაკმიდა
ხმა და თვალები დახუჭა. ბატამ უფ-
რო და უფრო ჩაუშვა კლანჭი, ბო-
ლოს მოავლო. ბრჭყლები ბუდეს და
ამოსწია... დაძველებული და დასვე-
ლებული ბუდე მოიგლიჯა და ბარ-
ტყებიან-მშობლებიანათ ძირს მიწა-
ზე ჩავარდა, კატას კი ისე შაეშინდა
ჩამოვარდნილ ბუდისაგან, რომ კუ-
დი აიბზიკა და გაჰკურცსლა.

საწყალი დედ-მამა როგორც იყო
გამოძვრნენ დანგრეულ ბუდიდგან
და მწარეთ იგლოვდნენ ბედს. შვი-
ლები კი ცოცხლები ჰყვანდათ, რა-
დგან რბილ ბუდიანათ ჩამოცვივდ-

ნენ. მაგრამ რაღათ უნდათ ამ გვარი
სიცოცხლე? როგორ უშვეიან ეხ-
ლა შვილებს და სიკვდილს გადაარ-
ჩენენ?

კარი V.

ირაჟრაჟა. ხალხი აიშალა. მაგრამ
ვერავინ ვერ დაინახა ბალახში ჩამო-
ცვივნული და საცოდავათ მწრიპი-

ნავი ბარტყები. ადგნენ ვანო და კა-
ტოც. მხიარულათ გამოცვივდნენ ბალ-
კონზე. დედა მერცხალი დიდის გუ-
ლის ძგერით და გლოვით უყურებ-
და თავის ბედკრულ შვილებსა.

კატომ პირველათ დაინახა, რომ
ბუდე ჩამოვარდნილ იყო. მას. თვა-

20

ლებიდგან ცრემლები ჩამოსცვივდა
და შეჰკრთა.

– რა დაგემართა? ჰკითხა ვანომ.

– ბუდე ჩამოვარდნილა, ბუდე.
ტიროდა კატო. ვანომ შეხედა ჭერს
და ბუდე ვერ დაინახა.

– ის უთუოდ ძირს ჩავარდნილა,
გადაწყვეტით სთქვა ვანომ. აი ხომ
ხედავ ბარტყები სადღაც წრიპი-
ნებენ. ჩამოვიდნენ ძირს და ძებნა
დაუწყეს.

– ბუდე, აი ბუდე, აი! მხიარუ-
ლად სთქვა ვანომ – ყველა ბარტყე-
ბი ცოცხლები არიან. ერთი, ორი,
სამი.

– სამის მეტი არ არის? ოთხნი
იყვნენ, მე ერთხელ დავთვალე,
გულამოჯდომით უთხრა დამ ვანოს.

21

– მაშ მოვძებნოთ მეოთხეც, მხი-
არულათ სთქვა ვანომ.
შენ ჯერ მოიტანე ბამბა, ესენი შიგ
გავახვიოთ, ამათ სცივათ. კატო გა-
იქცა შინ და მალე მოარბევინა ბამბა.

– მეოთხე ბარტყი? კითხავდა კატო.

– არ ვიცი, ვერ ვიპოვნე, გა-
ვახვიოთ ჯერ ესენი, ხომ ხედავ რო-
გორ კანკალებენ. კატომ ბამბაში
გახვეული ბარტყები ჩაიდო კალთა-
ში და ჩუმათ დაჯდა.

– შენ ხელი არ ახლო მაგათ,
თორემ შეეშინდებათ უთხრა ვანომ დას

– არა მე არ ვახლებ, მინდა მხო-
ლოდ გავშინჯო უთხრა დამ.

ვანომ ააქოთა იქაურობა, მაგრამ
ვერ იპოვა მეოთხე ბარტყი.

– კატო, მართალი სთქვი: ოთხი

იყვნენ თუ სამი?

22

– გეფიცები ვანო, ოთხი იყო
მე ისინი დავთვალე.

უცებ ბალკონის ქვეშიდგან მო-
ისმა წრიპინი.

– აი, აი სად წრიპინებს სთქვა
კატომ.

ვანო. იმავ წამს დაიბადა იქ შე-
ყო ხელი ბალკონის კიბის ქვეშ და
გამოიყვანა „მცონარა“.

– რა პატარა ფრინველია! შინ-
ჯავდნენ ყმაწვილები – ყველაზე პა-
ტარაა. ეს კი ყველაზე ცქვიტია,
უყურე როგორ იკბინება. ყველანი
ერთმანერთს არა ჰგვანან.

– მაიტა ახლა მე შევინახო ეგე-
ნი, შენ კიბუზი დაიჭირე და მაიყვა-
ნე ვაჭამოთ, სთქვამანომ და გამარ-
თვა ბარტყები დას.

23

– შენ გგონია, რომ ჩვენ მაგათ
გავზდით? ეხლა ხომ მაგათ დედ-მამა
არა ჰყავთ, ეგენი ობლებია!

– აი ვნახოთ, ჯერ დაიჭირე ბუ-
ზი!

კატომ მალე დაიჭირა პატარა ბუ-
ზი. ვანომ გამოართვა და ბარტყებს
მიაწოდა, მაგრამ არც ერთი არ მი-
ეკარა ბუზს: ყველანი საშინლათ
შეშინებული იყვნენ. ბამბაში, მარ-
თალია, ბარტყებს სთბილოდათ, მაგ-
რამ რა მოელოდა მათ მომავალში? –
უფრო მეტად ეშინოდა დედა-მერც-
ხალს: ის დასტრიალებდა ყმაწვილებს,
ხან ახლო ხეებზე ჯდებოდა, ხან აქედ-
გან ხან იქიდგან უმზერდა და სა-
ცოდავათ ეუბნებოდა ბაშვებს:

– ნუ დახოცავთ ჩემ შვილებს,

24

ნუ წაიყვანთ, დასვით მანდვე.

მაგრამ ყმაწვილებს არ ესმოდათ მი-
სი თხოვნა და პირველათ ვერც-კი

ხედავდნენ მას, ბოლოს, როცა ცხვირ
წინ გაუარა მათ, ვანომ აიხედა და სთქვა
– ეს, ხომ ხედავ ბარტყების დედა
არის, რა კარგია, რომ ამათ ბუდე
გაუკეთოთ! დედა თვითონვე გაზდის
მათ, თორემ ეხლა ესენი პატარაებია
და ჩვენი ხელიდგან საჭმელს არა
სჭამენ.
– ოჰ, ვანო, რა კარგი მოიგონე.
აუშენოთ როგორმე ბუდე!...
– დიახ, კარგი იქნება მერე ცოტა
დაფიქრდა და სთქვა: პირველათ
უნდა ვეცადოთ, რომ ბუდე იმავე
ადგილას იყოს მიკრული, საცა იყო;
მეორეთ, რომ ის იყოს კარგი და

თბილი ბარტყებისათვის... ჰო, მართ-
ლა, მოიტანე შენი პატარა კალათა, იმა
ში ჩავაგოთ ბამბა, ჩავსვათ შიგ ბარტ-
ყები და ჩამოვკიდოთ იქ, სადაც იყო
ამათი ბუდე დედა უეჭველათა მო-
ფრინდება თავის შვილებთან...

კარი VI.

სთქვეს და კიდეც აასრულეს. ნა-
ხევარი საათის განმავლობამდე ყმა-
წვილებმა გააკეთეს ყველაფერი და
კალათა ჩამოჰკიდეს. ბარტყებს ძალი-
ან უკვირდათ და ეუცხოებოდათ
ახალი ბუდე. ისინი შიგ დახტოდნენ.
ყმაწვილები კი დაიმალნენ და ჩუმათ
უყურებდნენ: რა იქნებოდა.
დედა-მერცხალი ყველაფერს ჰხე-

დავდა ყმაწვილები რომ მოჰშორდნენ
ახალ ბუდეს, გაფრინდა, დასტრია-
ლა რამდენჯერმე და მიფრინდა
ბარტყებთან ბუზით.
– დედა, დედა, წიოდნენ ბარტი-
ყები. მამა გვინდა, ჩქარა დედამ
ყველას გაუნაწილა ბუზი და ხელ-
მეორეთ სწრაფათ გაფრინდა საშო-
ვარზე.
– დაინახე? წასჩურჩულა ვანომ

დას მხიარულად.

– ჩუ! ჩუმათ, ის კიდე მოფრი-
ნავს.

– მადლობა ღმერთს, ახლა კი
ჩვენი ბარტყები გადურჩნენ ხიფათს,
სთქვა ვანომ. მერე და-ძმანი წავიდ-
ნენ შინ.

რაოდენიმეჯერ ყმაწვილები იმ

27

დღეს მოვიდნენ ბარტყების გასასინ-
ჯავათ. მოდიოდნენ დიდებიც ვანოს
გაკეთებულ ბუდის გასასისჯავათ. ვა-
ნოს უხაროდა...

საღამო ხანს კატა კიდე დასეირ-
ნობდა ბანზე, მაგრამ კატომ მალე
წაასწრო თვალი.

– შეხედე, ვანო. მეზობლების
კატა მიეპარება ფრინველებს.

– აი მაგის ჩამოგდებული იქნება
ეს ბუდე. ვანომ დაუწყო ქვის სრო-
ლა. კატა გაიქცა, მაგრამ მალე კიდე
მოცუნცულდა. ახლა კი მე მაგას და-
ვიჭერ და ჩამოვახრჩობ, ჯავრიანათ
სთქვა ვანომ. ვანოს ეს კატა ძალი-
ან უყვარდა, მაგრამ ბარტყები უფრო
მეტად შეუყვარდა და თუ კატა არ
გაქცეულიყო უეჭველად მოჰკლავდა.

28

– იცი რა კატო? ღამე კალათა
შინ წავიღოთ ხოლმე და დილით
ადრე ისევ დავკიდოთ აქვე. ერთ ღა-
მეს ესენი არ დაიხოცებიან; კატა კი
ყველას დასჭამს.

– ამათი დედა?

– დედა უმაგათოთ იოლათ წა-
ვა ღამე.

ასრე მოიქცნენ ყმაწვილები. დე-
და-მერცხალი საშინლათ სწუხდა და
ეშინოდა, როცა მისი შვილები შინ
წაიყვანეს. მთელ ღამეს საწყალს არ
დაეძინა. დილის რაჟრაჟზე ვანოს მამამ
კალათა ბარტყებიანათ გამოიტანა და
იმავე ადგილას დაჰკიდა.

კატა დილით ვეღარ მოვიდა, რად-
გან ეშინოდა ხალხისა. ორჯერ-სამ-

ჯერ იმან სცადა ბალკონისკენ გამ-

29

გზავრება, მაგრამ ხალხის ხმაურობამ
შეაშინა და ვერა გაბედა რა.

კარი VII.

ამნაირად დედა-მერცხალი შეეჩვია:
ვანოსი და კატოსი აღარ ერიდებო-
და ხოლმე. ყოველთვის მოუთმენლად
ელოდა თუ როდის გამოიტანდნენ
დილით ბარტყებს კალათით. გამო-
იტანდნენ თუ არა მაშინვე მოფრინ-
დებოდა ხოლმე და საჭმელს აძლევ-
და შვილებს. ბარტყები იზრდებოდ-
ნენ და იზრდებოდნენ, კატოს უყ-
ვარდა მათი მზერა. მოვიდოდა ხში-
რად მიიმალებოდა ახლოს და
ყურს უგდებდა მათ: «გულადი» ხში-
რად ჩხუბს სტეხდა, თამაშობდა;

30

მაშინ ბუდეში ერთი ამბავი ხდებო-
და: ზოგი ხტუნაობდა, ზოგი გო-
რავდა, ხან ისე ეჯახებოდნენ ხოლ-
მე ერთმანერთს, რომ ორჯერ «ლა-
მაზა» გადმოაგდეს ბუდიდგან.

ერთხელ დილით რატომ დათვალა
ბარტყები, მაგრამ სამის მეტი აღარ
იყო ბუდეში.

– სად არის მეოთხე? ნუთუ კა-
ტამ შეგვიჭამა? ამბობდა შეწუხებუ-
ლი კატო.

მაგრამ უცებ ზევიდგან კალათაში
ჩამოფრინდა პატარა ფრინველი. ეს
იყო „გულადი“. ამან ისე გაახარა
კატო, რომ ქალი სიხარულით შეხ-
ტა მაღლა და ძმას დაუყვირა:

– ვანო, ჩემო ვანო! ერთი ბარ-
ტყი კიდეც გაფრინდა.

31

– რაო? ნუთუ მართალია?”გაჰ-
გაჰკვირდა ვანო.

– მართალია, მართალი; მე თვი-

თონ დავინახე.. აი მეორესაც უნდა
გაფრენა. მართლაც ლამაზიც აიბუ-
ზა, ფრთები გაიქნია და კანკალით
გაფრინდა – მარდათ, ნუ გეშინიან“
უყვიროდა მას მაღლიდგან დედა.
სამივე გაფრინდნენ, მათ გამოედევნა
მხიარულაც, ბუდეში დარჩა მარტოკა
მცონარა.

– ეს საცოდავი რატომ არ ფრინ-
დება? ჰკითხავდა კატო ვანოს.
არ ვიცი; იქნება ავათ არის, უთხრა
ვანომ. მცონარა ავათ არ იყო.
იმას გაზრდოდნენ ფრთები, მაგ-
რამ მაინც ვერ გაებედნა გაფრენა.

დედა-მერცხალი ამისგამო ძალიან
გაუწყრა მცონარას.

– ეცადე ისწავლო ფრენა, ეუბ-
ნებოდა დედა, თორემ მალე სიცი-
ვეები დადგება და მოვა დრო გახიზ-
ვნისა ცხელ ქვეყნებში. მაშინ გზაში
დაიღალები, დარჩები და გაიყინები.
აბა ჰა!?
მცონარამ გაბედა და გაფრინდა. მა-
ლე თავის ძმებზე კარგად ფრენა და-
იწყო.

კარი VIII.

– აი, კატო ამბობდა ვანო, მა-
ლე ჩვენი ბარტყები გაფრინდებიან
და სამუდამოთ მოგვშორდებიან. ოჰ,
რა მალე ზაფხული გავიდა. ახლა
კიდე მოვიდა დრო სწავლისა. კიდევ

შკოლა, მასწავლებლები, სწავლა...
ოხ, რა კარგია რო შენ პატარა ხარ
და შინ სწავლობ...

– სად გაფრინდებიან ჩვენი ბარ-
ტყები? ჰკითხა ვანოს კატომ.

– შორს ძალიან შორს, მზის ჩა-
სვლის მხრებისკენ, იქ, საცა მუდამ
თბილა და ზამთარი არ იცის მთელი
წლის განმავლობაში.

ყმაწვილები დაღონებული თამა-

შობდნენ ეზოში; დედა-მერცხალი კი
ახლო ხეზედ იჯდა და ჭიკჭიკობდა,
მადლობას ეუბნებოდა ვანოს და კა-
ტოს იმისთვის, რომ მათ უშველეს
ბარტყების აღზრდაში და სიკვდილს გა-
დაარჩინეს მისი შვილები.

34

ყმაწვილებმა მერცხალს მიაძახეს:

„ჩვენო მერცხალო! გვიყვარხარ გულით
და შენ შეგყურებთ ჩვენ სიხარულით;
უცხო ქვეყნიდგან შენ ხარ მოსული
და ჩვენ კუთხეში დაბუდებული.
მუდამ ჭიკჭიკობ ხარ მოხარული,
სჩანს, რომ შენ გიყვარს ჩვენი მამული.
უცხო ქვეყნისკენ ისევ მიდიხარ,
ნუ თუ შენ კიდე არ მოფრინდები!...
მერცხალმა ერთი კიდე შემოჰ-
ჭიკჭიკა და გაფრინდა. ბავშვები პა-
ტარა ხანს დაღონდნენ.
– როგორ გგონია ვანო, და-
იწყო პატომ, თუ მომავალ წელსაც
აქვე ჩამოვკიდეთ კალათა, არ მოფ-
რინდებიან ჩვენი მერცხლები?

35

– არ ვიცი; მაგრამ მაინც ვსცა-
დოთ, მიუგო ვანომ...

მოფრინდნენ ისევ მერცხლები და
აღასრულეს ბავშვებმა თავისი სურ-
ვილი თუ არა, ჩვენ არ ვიცით, ამი-
სათვის მშვიდობით და გამარჯვებით
ყმაწვილებო, მინემ გავიგებდეთ ამას...